კონკურენტული ინოვაციების ფონდი (CIF)

წარმატების ისტორია

კონკურენტული ინოვაციების ფონდი (CIF) მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, I2Q პროექტის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ინიციატივების საგრანტო დაფინანსებას უზრუნველყოფს.



კონკურენტუდი ინოვაციების ფონდის (CIF) სტრატეგიუდი მიზანია უმაღდესი საგანმანათდებდო პროგრამებისა და სასწავდო გარემოს სწრაფი მოდერნიზაცია და შრომის ბაზართან კავშირების გაძდიერების ხედშეწყობა.

CIF ხედს უწყობს უმაღდეს საგანმანათდებდო დაწესებუდებებს, თავიანთი სტრატეგიუდი განვითარების გეგმებზე დაყრდნობით, განავითარონ კონკრეტუდი პრიორიტეტუდი მიმართუდებები და დანერგონ ინოვაციური მიდგომები.

განათლების სისტემური განვითარება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველია. საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვასა და შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, ხელშესახები შედეგებისა და წარმატების ერთგვარი გარანტია.

ინოვაცია განათლებაში უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას, ხარისხის ამაღლებასა და გამოცდილების დაგროვებას. ის ხელს უწყობს სტუდენტებისა და დაწესებულების პერსონალის საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას და ადაპტაციას სამყაროში, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება.

სწორედ ამ მიზნით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, პროექტის - „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი - საქართველო I2Q“ ფარგლებში შეიქმნა კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF).

ინოვაციურ მიდგომებზე ორიენტირებული კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF), რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ხორციელდება, სტრატეგიულ მიზნად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაციას და შრომის ბაზართან მათი კავშირების გაძლიერებას ისახავს.

CIF წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს, რომელიც ახალისებს სხვადასხვა აქტორს შორის თანამშრომლობასა და კონკურენციას, აჩქარებს კონსტრუქციულ ცვლილებებსა და ინსტიტუციური მოდერნიზაციის პროცესს უმაღლესი განათლების მიმართულებით.

CIF უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აძლევს შესაძლებლობას:

- განახორციელონ თავიანთი სტრატეგიული განვითარების გეგმები სახელმწიფოს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად;
- დაუახლოვონ საგანმანათლებლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
- დანერგონ ინოვაციური პრაქტიკა სასწავლო და კვლევით გარემოში.

CIF შეიქმნა პროექტის - „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი - საქართველო I2Q“ ფარგლებში და, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ხორციელდება.

CIF პირველი საგრანტო კონკურსის შესახებ

CIF-ის პირველი საგრანტო კონკურსი გამოცხადდა 2022 წელს. ხელმისაწვდომ ბიუჯეტსა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, 2,1 მილიონამდე აშშ დოლარით დაფინანსდა 13 საგრანტო განაცხადი.

კონკურენტუნარიანობა

CIF-ის პირველ საგრანტო კონკურსში, საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით, ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეიქმნა. კონკურსში მონაწილეობდა 21 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; მათ შორის, 6 რეგიონის 10 წარმომადგენელი *(ჯამში გაკეთდა 30 განაცხადი)*. კონკურსში მონაწილეობდა 14 სსიპ (მათ შორის 8 რეგიონული) და 7 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

CIF-მა ხელი შეუწყო უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობას და მჭიდრო კავშირებს კერძო სექტორთან.

სფეროების მრავალფეროვნება

CIF-ის პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში ყველა სამეცნიერო მიმართულებას კონკურენციის თანაბარ პირობებში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა. შედეგად, დაფინანსებული პროექტები ხელს შეუწყობს ისეთი სფეროების განვითარებას, როგორებიცაა: სოციალური სამუშაო და ფსიქოლოგია, მედიცინა, ჯანდაცვა, ბიზნესი, სამუსიკო განათლება, ინჟინერია, სამართალი, კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები, სამეწარმეო განათლება.

CIF-ის მთავარ მიზანს და დაფინანსებული პროექტების წარმატების ძირითად გარანტიას წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების პრიორიტეტულობა, როგორებიცაა: ინოვაცია, თანამშრომლობის წახალისება და პროექტების შედეგების მდგრადობა.

ინოვაცია

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციურობის წახალისება კონკურენტული ინოვაციის ფონდის საქმიანობის ქვაკუთხედი და ეფექტიანობის გარანტია.

პირველ კონკურსში დაფინანსებული პროექტების განხორციელების შედეგად უნივერსიტეტებში დაინერგება:

- კვლევის ინოვაციური კომპონენტები;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამები და კურსები;
- დასაქმებაზე ორიენტირებული მულტიდისციპლინური სასწავლო პრაქტიკული-ლაბორატორია შშმ პირებისათვის (ჰაბი);
- ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაციის მეთოდი (TMS) ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშესაწყობად;
- OSTE-ს სადგურები უსდ-ებ-ში და ა.შ.

შედეგად, CIF-ის საგრანტო დაფინანსება ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო სივრცის მოდერნიზაციას, სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებასა და ინდუსტრიასთან მის დაახლოებას.

პარტნიორობა



უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნასთან ერთად, CIF მიზნად ისახავს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო საჯარო თუ კერძო უნივერსიტეტების თანამშრომლობის ხელშეწყობას, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კავშირების გაძლიერებას ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კვლევით, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

CIF-ის საგრანტო დაფინანსება მოიპოვა პროექტებმა, რომლებიც შექმნილია როგორც საჯარო, ისე კერძო, ადგილობრივი და საერთაშორისოუნივერსიტეტებისთანამშრომლობით.ადგილობრივი უნივერსიტეტები თანამშრომლობენ: სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან (აშშ), კილის უნივერსიტეტითან(ინგლისი), ლინკოპინგის უნივერსიტეტთან (შვედეთი) და ტერასას უნივერსიტეტითან (ესპანეთი).

ასევე, მნიშვნელოვანი პარტნიორობა დამყარდა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერების მიზნით.

მდგრადობა

გრანტით შექმნილი საუკეთესო პრაქტიკის სისტემატიზაცია ფონდის წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორია. CIF-ის მიერ დაფინანსებული პროექტების დასრულების შემდგომ, შესყიდული აღჭურვილობა და განახლებული სასწავლო პროგრამები ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის შექმნასა და თანამედროვე სწავლების მეთოდებისა თუ ლაბორატორიული/კვლევითი კომპონენტების განვითარებას.

30 ნოემბერი, 2022

გამოცხადდა CIF-ის პირველი საგრანტო კონკურსი.

პირველი საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული თემები:

- **ერთობლივი აკადემიური ხარისხის (მათ შორის, ე.წ. „ორმაგი ხარისხის“) მინიჭების და/ან საერთაშორისო აკრედიტაციის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;**
- **შრომის ბაზრის საჭიროებებზე (მათ შორის – საქართველოს რეგიონების სპეციფიკურ საჭიროებებზე) მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება (სმარტსპეციალიზაცია, მესამე მისია და სხვ.);**
- **პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება;**
- **ინდუსტრიასთან/კერძო სექტორთან თანამშრომლობის ხელშეწყობა (დამსაქმებლის საჭიროებაზე მორგებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება (ერთობლივი სწავლება/ სტაჟირება, კვლევები/სხვა ინიციატივები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, მათ შორის, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები);**
- **სამეწარმეო განათლების განმავითარებელი პროექტები/პროგრამები.**



17-19 ოქტომბერი, 2022

CIF-ის მიზნებისა და განხორციელების ზოგადი პრინციპების, ასევე აქტივობების დეტალურად გაცნობისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ოქტომბერი, 2022 - იანვარი, 2023

საკონსულტაციო შეხვედრების ციკლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან





კონკურენტული ინოვაციის ფონდის პირველ საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია მუდმივად და ამომწურავად მიეწოდებოდათ.

კონკურენტული ინოვაციების კონკურსში (CIF) გამარჯვებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს სერტიფიკატები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა გადასცა.

CIF-ის პირველი საგრანტო კონკურსში, 2023 წელს 13 საგრანტო განაცხადი **2,1** მილიონამდე აშშ დოლარით დაფინანსდა.

მეორე საგრანტო კონკურსი გამოცხადდება
2023 წლის სექტემბერში.

CIF

დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროექტები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (აპლიკანტი)	პროექტის დასახელება
კონსორციუმი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	*თანამედროვე ტრანსლაციური ნეირომეცნიერების პროგრამის შემუშავება და დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში უმაღლესი სამედიცინო განათლების სრულყოფის მიზნით*
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	*ზღვრებს მიღმა: ინოვაციების ხელშეწყობა ტრადიციებზე დაფუძნებულ უმაღლეს სამუსიკო განათლებაში*
კოსორციუმი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	*საჯარო მმართველობის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კონცეფციის შემუშავება*
კოსორციუმი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	*სასწავლო ლაბორატორიები თანაბარი უფლებებისთვის*
კოსორციუმი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს კავკასიის უნივერსიტეტი	*სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ*
კოსორციუმი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	*ინოვაცია და ტექნოლოგია მედიცინაში*
კოსორციუმი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი	*განათლება უკეთესი დასაქმებისთვის: პარტნიორობა ინოვაციურ ჯანდაცვაში*

კოსორციუმი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	*ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაციის სომატური თერაპიის მეთოდის დანერგვა უკეთესი ფსიქიკური კეთილდღეობისთვის და ფსიქიკური ჯანმრთელობის სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად საქართველოში*
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	*კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისათვის საინჟინრო განათლებაში*
კოსორციუმი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შვედეთის ლინკოპინგის უნივერსიტეტი	*კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის*
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	*მექატრონული სისტემების სწავლების დანერგვა საბაკალავრო, სამაგისტრო და ასევე პროფესიული სწავლების საფეხურებზე ბსსა-ის საგანმანათლებლო პროგრამებში*
კოსორციუმი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო	*უნივერსიტეტის სამეწარმეო განათლების (EE) სასწავლო (კურიკულარული) და კოკურიკულარული რეფორმა*
კოსორციუმი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	*OSTE-ს სადგურების დანერგვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში*

CIF პირველი საგრანტო კონკურსი

დაფინანსდა 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

მათ შორის:

- 10 საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 7 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 3 ინდივიდუალური პროექტი;
- 10 კონსორციუმი.



მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება
ოქტომბერი, 2021
CIF გუნდის დაკომპლექტება
მაისი, 2022
სამუშაო შეხვედრა უსდ-ებთან CIF-ის საქმიანობის გაზიარების მიზნით
ოქტომბერი, 2022
CIF-ის პირველი საგრანტო კონკურსის გამოცხადება
ნოემბერი, 2022
საორიენტაციო შეხვედრა უსდ-ებისთვის
დეკემბერი, 2022
CIF-ის პირველი საგრანტო კონკურსის დასრულება
თებერვალი, 2023
საკონსულტაციო შეხვედრა უსდ-ებისთვის
იანვარი, 2023
განაცხადების შეფასება
თებერვალი-ივნისი, 2023
CIF-ის პირველი საგრანტო კონკურსის შედეგები
ივნისი, 2023
გამარჯვებული უსდ-ების დაჯილდოება
ივლისი, 2023
დაფინანსებულ უსდ-ებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება დაჯილდოება
აგვისტო, 2023
მეორე საგრანტო კონკურსის გამოცხადება
სექტემბერი, 2023



განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP